ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი/LAW

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): სამართლის დოქტორი/ Doctoris Iuris (შეესატყვისება PhD in Law)

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS

იურიდიული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დააგროვოს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არანაკლებ ექვსი სემესტრის განმავლობაში.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. პროგრამის მიზნები

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული კვლევა;
- სამართლის მეცნიერებისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარება;
- არსებული სამართლის სისტემების არსში წვდომა, მათი ნაკლოვანი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი წინადადებების შემუშავება.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

გამოუმუშაოს ის აუცილებელი თვისებები, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტობის კანდიდატის მიერ გავლილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტზე ნაკლებია, აუცილებელია სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხიც.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით.

ევროპული სამეცნიერო (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ საქართველოში ან მის ფარგლებს სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას.

დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით.

დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

3. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • აქვს სამართლის მიმართულების უახლეს ან/და აქტუალურ მიღწე-ვებზე დამყარებული ცოდნა. ფლობს დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს სამეც-ნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს. შეუძლია შესაბამის სფეროში არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და ნაწილობრივი

გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია სამართლის მიმართუ-ლებით ინოვაციური კვლევების დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომელიც სფეროს ფარგლებში ახლი ცოდნის შექმნა-ზეა ორიენტირებული. ფლობს სამართლებრივი კონფლიქტების სამართლებრივი მეთოდებით გადა-წყვეტის უნარს. • შეუძლია საუნივერსიტეტო განათ-ლებაში საკუთარი წვლილის შეტანა სწავლებისა და კვლევის განხორ-ციელების გზით.
დასკვნის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია განახლებული სამართლებრივი ბაზის, სასამართ-ლო პრაქტიკისა თუ უახლესი მეცნიერული მიღწევების, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი მიდგომების შეფასება და კრიტი-კული ანალიზი. ახალი მეთოდო-ლოგიის შემუშავებისა თუ განვითარებისათვის ხელშეწყობა. წამოჭრილი პრობლემების დამოუ-კიდებლად გადაწყვეტა. ფლობს სამართლებრივი პრობლემების სწორი მეცნიერული ინტერპრეტირების უნარს.
კომუნიკაციის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია სართაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სამეცნიერო საზოგადოებასთან უახლესი სამეცნიერო მიღწევების გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა და თემატურ პოლემიკაში ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში მონა-წილეობის, სამეცნიერო პუბლიკა-ციების, მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების და ა.შ. შექმნის გზით.
სწავლის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • აქვს სწავლისა თუ კვლევის პროცესში სფეროს უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ახალი შეხედულებებისა თუ იდეების კრიტიკული გააზრების, ათვისებისა და მათი დანერგვის უნარი, გააჩნია ასევე სამართლის მიმართულების განვითარებისათვის მნიშვნელოვან ან/და ახალი პროცესების განვითა-რების მზაობა.
ღირებულებები
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია სამართალის სფეროსთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები

☒ ლექცია ☐ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ სემინარი ☐ პრაქტიკული მუშაობა ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

5. დასაქმების სფეროები

სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამართლის დოქტორს ასევე შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის დოქტორის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

6. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დოქტორანტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- 2500 მ2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 15 000-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);
- 130 კომპიუტერი ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

7. პროგრამის ადამიანური რესურსი

სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (13 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (118 მოწვეული სპეციალისტი/პროფესორი), რომელთაც აქვთ სამართლის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართი №2.

8. სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან.

გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ..

9.პროგრამის ხელმძღვანელები

- აკადემიკოსი ლევან ალექსიძე (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში).
- პროფესორი ირაკლი ბურდული (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში);

10. პროგრამის სტრუქტურა

10.1. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი და მისი შეფასების სისტემა (60 ECTS)

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისაგან. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, სამართლის სადოქტორო პროგრამის სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შინაარსი და შეფასების სისტემა აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

№	სასწავლო კომპონენტი	დაშვების წინაპირობა	კრედიტი/ საათი	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა		სწავლების შედეგების რუკა					
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	1. სავალდებულო ელემენტები		**40 ECTS**								
1.1.	პირველი სადოქტორო სემინარი	არ გააჩნია	20/500	28	472	X	X	X	X		X
1.2.	მეორე სადოქტორო სემინარი	არ გააჩნია	20/500	28	472	X	X	X	X		X
	2. არჩევითი ელემენტები		**30 ECTS**								
2.1.	აკადემიური წერა	არ გააჩნია	10/250	45	205	X	X	X	X	X	X

2.2.	იურიდიული კვლევის მეთოდები	არ გააჩნია	5/125	32	93	X	X	X	X	X	X
2.3.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	არ გააჩნია	5/125	45	80	X	X	X	X	X	
2.4.	პროფესორის ასისტენტობა	არ გააჩნია	10/250	46	204		X	X	X	X	X

აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულოა იმ დოქტორანტისთვის, რომელსაც სამაგისტრო პროგრამაზე სწავლებისას არა აქვს გავლილი აღნიშნული სასწავლო კურსი. ამასთან, პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კომპონენტის გავლისაგან თავისუფლდება დოქტორანტი, რომელიც ამავდროულად არის თსუ-ს აკადემიური პერსონალი/მასწავლებელი და ასრულებს მისთვის განსაზღვრულ მინიმალური სავალდებულო საათობრივი დატვირთვით გათვალისწინებულ სამუშაოს, ან/და არის საქართველოს სხვა ავტორიზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი/მასწავლებელი ან მოწვეული სპეციალისტი და უძღვება სასწავლო კურსს.

იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს სჭირდება გარკვეული დარგობრივი კომპეტენციების დამატებით შეძენა, მას უფლება აქვს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების ნაცვლად სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით გაიაროს საუნივერსიტეტო კურიკულუმის ფარგლებში შემოთავაზებული სასწავლო კურსი/კურსები.

სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებით განსაზღვრული სასწავლო აქტივობების ნაცვლად დოქტორანტს შეიძლება ეღიაროს:

- საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი. ამასთან, საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესით განსაზღვრული პრინციპებით.

- უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი. ამასთან, უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილების შესაბამისად.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს დოქტორანტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული

დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. დოქტორანტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

10.2. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი და მისი შეფასების სისტემა (120 ECTS)

დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია), რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენითა და დაცვით (პრეზენტაციით, სამეცნიერო დისკუსიით).

დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში.

დისერტაციაზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს □□□□□□□□□□□□□ობით განხორციელებული კვლევისა და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. დისერტაციის შესაფასებლად სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე ფარული კენჭისყრით. სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს კონფიდენციალურად, 100 ქულიანი სისტემით, შედეგის მიღწევის დადგენილი მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. სადისერტაციო კოლეგიის წევრთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო ქულა - საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე), რომელსაც შეეფარდება ლათინურ შეფასებას. დისერტაციის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

ფრიადი (summa cum laude)	შესანიშნავი ნაშრომი	მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
ძალიან კარგი (magna cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება	მაქსიმალური შეფასების 81-90%
კარგი (cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება	მაქსიმალური შეფასების 71-80%
საშუალო (bene)	საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს	მაქსიმალური შეფასების 61-70%
დამაკმაყოფილებელი (rite)	შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც	მაქსიმალური შეფასების 51-60%

	აკმაყოფილებს	

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება სამართლს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

არადამაკმაყოფილებელი (insufficient)	არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო	მაქსიმალური შეფასების 41- 50%
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს	მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები

არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.

არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დისერტაციის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასების შემდეგი მეთოდები და კრიტერიუმები:

№	**შედეგის მიღწევის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები**	**მაქსიმალური შეფასების %**
1	**დისერტაციის წერითი შეფასება**	**50%,მ.შ.**
1.1	დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი	10%
1.2	სადისერტაციო ნაშრომის სათანადო სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დასახული კვლევითი ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა	10%
1.3	დისერტაციის კვლევითი ამოცანის/ამოცანების გადაწყვეტის სისრულე	10%
1.4	საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურის, ფაქტობრივი მონაცემების დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი	10%
1.5	დისერტაციის გაფორმების (მათ შორის მითითების/ციტირების) სათანადო წესის/წესების დაცვა	10%
2	**პრეზენტაცია**	**40%,მ.შ.**
2.1	სადისერტაციო თემის აქტუალობა და სიახლე; სადისერტაციო თემის სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებთან და შედეგებთან	10%
2.2	კვლევის პროცესში ადეკვატური მეცნიერული მეთოდების შერჩევა და გამოყენება; წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე და ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები/კვლევის შედეგები	10%
2.3	სადისერტაციო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის/პრობლემების წარმოჩენა	10%
2.4	პრეზენტაციის სტრუქტურა (ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე)	10%
3	**დისკუსია**	**10%,მ.შ.**
3.1	დაცვის პროცესში დასმულ კითხვებზე ადეკვატური და დასაბუთებული პასუხების გაცემა	10%

დანართი №1.

დოქორტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების წესი

განმარტებები

დისერტაციის სტანდარტული ვერსია - დისერტაცია გაფორმებული A4 თაბახზე, რომელსაც ახლავს ორიგინალური ხელმოწერების თავფურცლები. იგი იბეჭდება ოთხ ეგზემპლარად და ბარდება სადისერტაციო საბჭოში განაცხადის წარდგენის დროს აკინძული სახით.

დისერტაციის საგამომცემლო ვერსია - დისერტაცია გაფორმებული A5 თაბახზე. იგი იბეჭდება სტამბური წესით დადენილი ტირაჟით.

დისერტაციის გაფორმება

ზოგადი დებულებანი

მოცულობა: დისერტაციის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 30000 სიტყვისა, გაფორმებული წარმოდგენილი წესის შესაბამისად.

ენა: დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

სტრუქტურა: დისერტაციის სტრუქტურის შერჩევა წარმოებს ავტორის მიერ თემატიკის მიხედვით.

ქაღალდი: დისერტაცია უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე.

მინდორი: მარცხენა მხარე – 2 სმ, მარჯვენა მხარე – 4 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ.

შრიფტი: ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს AcadNusx-ური ან Sylfaen-ის შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. დისერტაციის ინომრება არაბული ციფრებით.

სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.0. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

სქოლიო: სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან.

დისერტაციის შემადგენელი ნაწილები: ქვემოთ მოყვანილი თავები გამოიყენება დისერტაციის გაფორმებისას, როგორც სტანდარტულ, ისე საგამომცემლო ვერსიისათვის. არა აუცილებელი ნაწილები მითითებულია ვარსკვლავით.

სექცია	სტანდარტული ვერსია	საგამომცემლო ვერსია
ტიტულის გვერდი	☼	☼
შინაარსი	☼	☼
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა	☼	☼
ანბანური საძიებელი*	☼	☼
ძირითადი ტექსტი შესავალი შედეგები და მათი განსჯა დასკვნა	☼	☼
სქოლიო	☼	☼
ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	☼	☼
დანართები *	☼	☼

ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკული თვალსაზრისით დასაშვებია დანართების განთავსება ბიბლიოგრაფიის წინ.

შესავალი ნაწილის გვერდები

სატიტულო გვერდი (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს დისერტაციის დასახელებას, დოქტორანტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სახელი გვარი, „ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „თბილისი, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული დისერტაციის მოხსენება. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (1), თუმცა იგი არ მიეთითება.

შინაარსი (აუცილებელი): დისერტაცია უნდა შეიცავდეს სარჩევს. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „–“, „_“.

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა: დისერტაციაში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის.

ანბანური საძიებელი (საჭიროების შემთხვევაში): ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია ანბანური საძიებლის დართვა.

ძირითადი ტექსტი

ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას.

შესავალი: შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას დისერტაციაში დასმული პრობლების მეცნიერული სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. მასში მოკლედ და ლაკონურად უნდა იქნას დასმული ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვისაც არის მიძღვნილი სადისერტაციო ნაშრომი. თითოეული ფრაზა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე და ინფორმაციული, რადგან იგი განკუთვნილია დარგის ვიწრო სპეციალისტებისათვის და არა მკითხველთა ფართო მასისათვის. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

შედეგების განსჯა: შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

დასკვნა: სადისერტაციო ნაშრომში აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოკლედ და ლაკონურად.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ზოგადი დებულებანი: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს დისერტაციის ბოლოს. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნას დაცული შემდეგი სტილები:

სტატია:

[გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწისი-დასასრული.
მაგ.: 1 Bassiouni M.Ch. A Draft International Criminal Code and Draft Statute for an International Criminal Court. J. Connecticut Insurance Law Journal Association at the University of Connecticut School of Law, 2008, 3, 6, 378 -389.

წიგნი:

ცალკეული გვერდების მითითებისას:

[გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ. დასაწისი–დასასრული.
მაგ.: 1. Dixon M. International Law. Oxford University Press, 2017, pp 45-123.

მთლიანი წიგნის მითითებისას:

[გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვერდების რაოდენობა გვ.
მაგ.: 1. Dixon M. International Law. Oxford University Press, 2017, 393 p.

ინფორმაცია გლობალური ქსელი:

ვებ–გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.
მაგ.: 1. http://www.hrweb.org/legal/genocide.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 5.03.2017.

გვერდების ნუმერაცია: გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად.

ინტერვალი: სტრიქონებს შორის ინტერვალი არის 1. აბზაცებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი.

შრიფტის ზომა: შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

დანართი: დანართში შეიძლება განთავსდეს ნახაზები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და სხვა.

საგამომცემლო ვერსია

ზოგადი დებულებანი: ავტორს აქვს უფლება განახორციელოს სადისერტაციო ნაშრომის ოპტიმიზაცია გამომცემლობის შესაბამის მოთხოვნებიდან გამოდინარე, ისე, რომ არ დაირღვას ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა. თუ დისერტაციაში ჩართული იქნება უკვე გამოქვეყნებული სტატიები, მაშინ ისინი უნდა განთავსდნენ ცალკეული თავის სახით.

ფორმატირება: ფორმატირება თანხმდება გამომცემლობასთან. ამასთან ძირითადი სტრუქტურა არ უნდა იქნას შეცვლილი. თუ სტატიები იქნება ჩართული დისერტაციაში, მაშინ სტატიების ფორმატირებისათვის აიღება შესაბამისი ჟურნალის ფორმატირების სტილი.

ელექტრონული ვერსია

სადისერტაციო ნაშრომი უნდა ჩაიწეროს *.pdf ფორმატში CD-ROM ან DVD-ROM დისკებზე. დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და დისერტაციის დასახელება.

დანართი №2.

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ (აკადემიური პერსონალი)		
№	**სახელი, გვარი**	**აკადემიური თანამდებობა /სამეცნიერო ხარისხი**
სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მიმართულებით		
1.	ხუბუა გიორგი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	დავითაშვილი გიორგი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	სურგულაძე ნუგზარი	პროფესორი / ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
4.	ჯანაშვილი ლელა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	ბოსტოღანაშვილი დავითი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	გარიშვილი მარინა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	ფერაძე გოჩა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
საჯარო სამართლის მიმართულებით		
1.	კვერენჩხილაძე გიორგი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	ჭიღლაძე ნანა	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	კობახიძე ირაკლი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
4.	კოპალეიშვილი მაია	პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	ხარშილაძე ირმა	პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	ტურავა პაატა	პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	კახიანი გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
8.	თევდორაშვილი გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
9.	გონაშვილი ვასილი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
10.	ერემაძე ქეთევან	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
11.	ლორია ხათუნა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
12.	ქარდავა ეკატერინე	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
13.	გვარამაძე თამარი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
14.	ყალიჩავა კობა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
საერთაშორისო სამართლის მიმართულებით		
1.	ალექსიძე ლევანი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	კორკელია კონსტანტინე	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	ქურდაძე ირინე	პროფესორი / სამართლის დოქტორი

4.	ხუციშვილი ქეთევან	პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	სირაძე ეკა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	პატარაია დავითი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	ბითაძე მაია	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
კერძო/ბიზნეს სამართლის მიმართულებით		
1.	ზოიძე ბესარიონი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	ნინიძე თევდორე	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	ჭანტურია ლადო	პროფესორი / სამართლის დოქტორი
4.	ბურდული ირაკლი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	ძლიერიშვილი ზურაბ	პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	ზამბახიძე თამარი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	ჩაჩავა სოფიო	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
8.	ცისკაძე მარიამ	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
9.	ცერცვაძე გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
10.	ზარანდია თამარ	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
11.	შენგელია ეკატერინე	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
12.	მახარობლიშვილი გიორგი	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
სისხლის სამართლის მიმართულებით		
1.	ივანიძე მაია	პროფესორი / სამართლის დოქტორი
2.	ფაფიაშვილი ლალი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
3.	ტურავა მერაბი	პროფესორი / სამართლის დოქტორი
4.	თოდუა ნონა	პროფესორი / სამართლის დოქტორი
5.	აქუბარდია ირინა	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
6.	თუმანიშვილი გიორგი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
7.	შალიკაშვილი მორისი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
8.	დვალიძე ირაკლი	ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი
9.	გოგნიაშვილი ნინო	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
10.	ხერხეულიძე ირინე	ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი
ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ (მოწვეული პერსონალი)		
	სახელი, გვარი	**სამეცნიერო ხარისხი**
საჯარო სამართლის მიმართულებით		
1	დემტრაშვილი ავთანდილ	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
საერთაშორისო სამართლის მიმართულებით		
1	გეფერიძე დავით	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი

2	ლაპიაშვილი ნათია	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
კერძო/ბიზნეს სამართლის მიმართულებით		
1	ჩიტოშვილი თამარ	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
2	ზარნაძე ეკა	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
3	კვანტალიანი ნუნუ	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
სისხლის სამართლის მიმართულებით		
1	გვენეტაძე ნინო	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
3	ფუტკარაძე ედიშერ	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
4	მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქეთევან	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი
5	კვინიხიძე შალვა	მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი

დანართი №3.

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	**ლევან ალექსიძე**

თანამდებობა	**პროფესორი; საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი;**			
სამუშაო ადგილი	**თსუ, იურიდიული ფაკულტეტი.**			
სამეცნიერო ხარისხი	იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი			
საკონტაქტო ინფორმაცია	**22 22 23 93**	llalexidze@yahoo.com; levan.aleksidze@tsu.ge		
დაცული დისერტაცია	*საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობები XV-XVIII საუკუნეებში*			

მონაცემები გამოქვეყნებული მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, დამხმარე სასწავლო მასალის, სტატიების შესახებ

პუბლიკაციის სათაური	**პუბლიკაციის სახე**	**გამომცემლობა**	**გამოცემის წელი**	**რა ენაზეა შესრულებული**	**მოცულობა (გვერდების რაოდენობა)**
ლევან ალექსიძე, იამზე გაგუა, მაია დანელია, ეკატერინე კობახიძე, ნინო რუხაძე. ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია	ლექსიკონი	მერიდიანი	2015	ქართული	
ლ.ალექსიძე, ქ.ხუციშვილი **(სამეცნიერო რედაქტორები)** ნეველა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, ია.ა ე. დოიკი, ჟან ცერმატენი. ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში (ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ)	სახელმძღვანელოს/ მონოგრაფიის თარგმანი	თსუ	2015	ქართული	

ლევან ალექსიძე თნამედროვე საერთშორისო სამართალი	სახელმძღვანელო	იურისტთა სამყარო	2013	ქართული	440
ლევან ალექსიძე საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკური ხანიდან დღემდე)	1957-2012 წლებში გამოქვეყნებული რჩეული ნაშრომები	თსუ	2012	ქართული	
Levan Alexidze Kosovo and South Ossetia: Similar or Different? Consequences for International Law	მოხსენება	"Baltic Yearbook of International Law", Vol.12, 2012	2012	ინგლისური	
Levan Alexidze Aspects of International Law of the Report of Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia	კვლევა	"Journal of International Law", Tbilisi, #2, 2009, #1, 2010	2010	ინგლისური	
Levan Alexidze The Failure of the UN Security Council in Settlement of the Conflict in Abkhazia, Georgia, Undermines the Fundamentals of the International Legal Order (Aggressive Separatism vs. International Community)	კვლევა	"Journal of International Law", Tbilisi, #1, 2009	2009	ინგლისური	
Levan Alexidze International Legal Aspects of the Armed Intervention of the Russian Federation in Georgia	სტატია	Journal of International Law, Tbilisi, #2, 2008	2008	ინგლისური	
Levan Alexidze Vital Role of OSCE in Condemning Ethnic Cleansing of Georgian Population in Abkhazia, Georgia, by the International Community	სტატია	Journal of International Law, Tbilisi, #1, 2008	2008	ინგლისური	

Levan Alexidze Georgian Constitution and Primacy of International Law	მოხსენება	Athens	2007	ინგლისური	
ლ.ალექსიძე (თანაავტორი და რედაქტორი); ლ.გიორგაძე, მ.კვაჭაძე, კ.კორკელია, ირ.ქურდაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	ლექსიკონი, ცნობარი		2005	ქართული	283
ლ.ალექსიძე (თანაავტორი და რედაქტორი); ლ.გიორგაძე, მ.კვაჭაძე, კ.კორკელია, ირ.ქურდაძე თანამედროვე საერთაშორისო სამართალი	ლექსიკონი, ცნობარი	თსუ	2003	ქართული	
Levan Alexidze "And Again Aggression, Intervention and Occupation of Georgia Aimed at Razing the Sovereignty and the Territorial Integrity of the Country";	სტატია	Journal of International Law", Tbilisi Univ. Press. N2, 2002.	2002	ინგლისური	
Levan Alexidze "Unsound Endeavors of Abkhaz Side to the Conflict in Abkhazia, Georgia to Prove the Legitimacy of Claiming "the right to Self-Determination, Including Secession from Georgia"	სტატია	"Journal of International Law", Tbilisi Univ. Press. N1, 2001.	2001	ინგლისური	
Levan Alexidze "Legal Aspects of Abkhazian Problems in the light of Documentary Proved (and not Forged) Historical Experience and Contemporary International law"	სტატია	Moscow Journal of International Law, #3, 1998.	1198	ინგლისური	
Levan Alexidze On the Revealed Facts of the Policy of Ethnic Cleansing/Genocide Conducted in the Territory of Abkhazia, Georgia, and Necessesity of Bringing Persons Committed these Crimes Before Justice in Accordance with International Principles of the Due Process	მოხსენება/კვლევის შედეგები	(E/CN.4/1997/132,2 April 1997); UN, New York, 1997	1197	ინგლისური	

Леван Алексидзе Некоторые вопровы теории международного права: императивные нормы – jus cogens Some Theoretical Problems of International Law: Peremptory Norms Jus Coglus (Summary)	სტატია		1982	რუსული	
Levan Alexidze “Legal Nature of Jus Cogens in Contemporary International Law”,	სტატია	the Hague Acadeny of International Law, “Recueil des Cours“. V.172(III), 1981	1981	ინგლისური	
ლევან ალექსიძე `ucxoelTa da sxva religiis mimdevarTa iuridiuli statusi evropaSi, Sua aRmosavleTSi, ruseTsa da saqarTveloSi Sua saukuneebSi~,	სტატია	*Tsu Sromebi, 1967, # 125/6;*	1967	ქართული	
Леван Алексидзе *Первый дипломатический документ “грузино-русских отношений”*	სტატია	*Советский Ежегодник международного права, 1962;*	1962	რუსული	
ლევან ალექსიძე *saqarTvelos brZola damoukideblobisaTvis da suverenitetis qarTuli koncefcia (X-XII ss.),*	სტატია	*Tsu Sromebi, 1959, t. 69;*	1959	ქართული	
Леван Алексидзе *“Международно -правовые отношения Иберии (Грузии) с Римом в I веке до Р.х – до VII века нашей эры*	სტატია	*Труды тбилисского государственного университета, 1957, № 65;*	1959	რუსული	

დანართი №4.

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ირაკლი ბურდული			
თანამდებობა	პროფესორი, დეკანის მოადგილე			
სამუშაო ადგილი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი			
სამეცნიერო ხარისხი	სამართლის დოქტორი			
საკონტაქტო ინფორმაცია	032 22 37 10	irakli.burduli@tsu.ge		
დაცული დისერტაცია	,,ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში”			

მონაცემები გამოქვეყნებული მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, დამხმარე სასწავლო მასალის, სტატიების შესახებ

პუბლიკაციის სათაური	**პუბლიკაციის სახე**	**გამომცემლობა**	**გამოცემის წელი**	**რა ენაზეა შესრულებული**	**მოცულობა (გვერდების რაოდენობა)**
ი.ბურდული (თანაავტორი და რედაქტორი); გ.მახარობლიშვილი, დ.ეგნატაშვილი, თ. ებანოიძე	მონოგრაფია	იურისტების სამყარო	2017	ქართული	1-168
ი.ბურდული (თანაავტორი); გ.მახარობლიშვილი, დ.ეგნატაშვილი, გ.გიგუაშვილი, თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები	მონოგრაფია	იურისტების სამყარო	2016	ქართული	1-153
ი.ბურდული (თანაავტორი და რედაქტორი); დ.ეგნატაშვილი, კორპორაციული მართვის საკითხისათვის, კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60,	კრებული	თსუ გამომცემლობა	2015	ქართული	495-521, 1-585

საიუბილეო კრებული					
ი.ბურდული (რედაქტორი); გ.მახარობლიშვილი, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი III	კრებული	მერიდიანი	2015	ქართული	1-214,
ი.ბურდული, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (იურიდიული პირები)	კომენტარი	GIZ	2015	ქართული	182-285
ი.ბურდული (რედაქტორი), საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი II	კრებული	მერიდიანი	2015	ქართული	1-340
ი.ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), II ტომი	მონოგრაფია	მერიდიანი	2013	ქართული	1-536
ი.ბურდული, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 45)	კომენტარი	კონსტიტუციალიზმის ცენტრი, GIZ	2013	ქართული	598-611
ი.ბურდული (რედაქტორი), საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I	კრებული	მერიდიანი	2011	ქართული	1-370
ი.ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), I ტომი	მონოგრაფია	მერიდიანი	2010	ქართული	1-505
ი.ბურდული (თანაავტორი), თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები	კრებული	მერიდიანი	2009	ქართული	1-550
ი.ბურდული (თანაავტორი),"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე მიღებული რეკომენდაციები და მასალები (Guidelines)	სახელმძღვანელო	მერიდიანი	2009	ქართული	1-72

ი.ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში), ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე	მონოგრაფია	თსუ-ის გამომცემლობა	2008	ქართული	1-270
ი.ბურდული, სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა)	მონოგრაფია	შპს „თობალისი“	2007	ქართული	1-123
ი.ბურდული, Gesellschaftsrecht in Georgien und seine Entwicklungstendenzen	სტატია	Institut für Osteuropäisches Recht der Universität Kiel. Zeitschrift: Kieler Ostrechts-Notizen	2013	გერმანული	28-35
ი.ბურდული, Обязанность верности, как масштаб действий болъшинства и меньшиства в корпоративном праве	სტატია	Альманах цивилистики, Выпуск 5-ый, КГУ им. Т. Шевченко	2012	რუსული	123-145
ი.ბურდული, კორპორაციული ერთგულების საკითხისათვის (უპირატესად კაპიტალური საზოგადოების მაგალითზე).	სტატია	მერიდიანი	2012	ქართული	156-166
ი.ბურდული, Contemporary georgian corporate law and the institution of squeeze-out	სტატია	„South Caucasus Law Journal“, GIZ,	2012	ინგლისური	156-166
ი.ბურდული, თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლე მიმოხილვა), რომან შენგელიას 70 საიუბილეო კრებული	კრებული	სამართალი	2012	ქართული	224-246
ი.ბურდული, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე)	სტატია	ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“,	2012	ქართული	50-69

ი.ბურდული, სანოტარო ბიუროს ფინანსებისა და ნოტარიუსის შრომის ანაზღაურების საკითხისათვის	სტატია	თსუ „სამართლის ჟურნალი“	2011	ქართული	34-46
ი.ბურდული, Legal Education in Georgia: Current State and Need for Reform	სტატია	Association of American Law Schools (University of Buenos Aires),	2011	ინგლისური	285-289
ი.ბურდული, შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს–იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ	სტატია	თსუ „სამართლის ჟურნალი“	2010	ქართული	18-58
ი.ბურდული, სააქცო კაპიტალიზმის გენეზისისა და სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბების საკითხისათვის (შედარებითი ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა)	სტატია	ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“,	2008	ქართული	13-31
ი.ბურდული, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბორტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების სავალდებულო წინაპირობა?!	სტატია	ჟურნალი „მართლმსაჯულება“	2007	ქართული	10-39
ი.ბურდული, სამეწარმეო სამართლის განვითარება გერმანიასა და საქართველოში	სტატია	ჟურნალი „მართლმსაჯულება“	2007	ქართული	72-99
ი.ბურდული, სახელობითი აქციის გასხვისება (ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე)	სტატია	ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“	2005	ქართული	94-101
ი.ბურდული (თანაავტორი); დავით ზურაბაშვილი, "Terrorismus – Art der Gesienung", Heft 206/207	სტატია	გერმანული ჟურნალი "Dynamische Psychiatrie", "Pinel" Verlag für humanistische Psychiatrie und Philosophie.	2004	გერმანული	254-263

ი.ბურდული, ქონების მოზიდვა სააქციო საზოგადოებაში და შესატანის განხორციელების სამართლებრივი ბუნება (ავსტრიულ-გერმანული სამართლის მაგალითზე)	სტატია	ჟურნალი „სამართალი“	2003	ქართული	26-33
ი.ბურდული, სააქციო საზოგადოების დაფუძნების სტადიები და "წინარე საზოგადოების" პრობლემა (ავსტრიული სამართლის მაგალითზე)	სტატია	ჟურნალი „სამართალი“	2001	ქართული	38-46
ი.ბურდული, Protecting Intellectual Property Equals Democracy	სტატია	საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, Journal Copyrigth,	2013	ინგლისური	62-69